სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

26 იანვარი, 2026 წელი

ბრძანება № 01-02/17

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2026 წლის 20 იანვრის №40000 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **,,აღმზრდელი“ პროფესიული სტუდენტებისათვის** (მე-5 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით **შეიქმნას საკვალიფიკაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

ა) ბადრი გეჩბაია - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
ბ) მამუკა გოგელია - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, კომისიის წევრი;
გ) მანანა პატარაია - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი, კომისიის მდივანი;
დ) რუსუდან ცინცაძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აღმზრდელი" ხელმძღვანელი;
ე) მარინე ბეჟანიძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აღმზრდელი" განმახორციელებელი პერსონალი, ქ. ბათუმის №16 საბავშვო ბაღის მენეჯერი, დამსაქმებელი;
ვ) ნატალია კუნჭულია - ქ. ბათუმის №13 საბავშვო ბაღის მენეჯერი, დამსაქმებელი;
ზ) ნანული ერემაშვილი - ქ. ბათუმის №2 საბავშვო ბაღის მენეჯერი, დამსაქმებელი.

2. კომისიამ იხელმძღვანელოს ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანებით, პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით და წინამდებარე ბრძანებით.
3. კომისიამ იმუშაოს **2026 წლის 28 იანვარს**, დღის 12:00 საათიდან 17:00 საათამდე.

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,რექტორის აქტები“ და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი”).
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით (მ. ხალვაში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს და კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არუშიძე